# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 30.—1914 | 28 ენკენისთვე

ხუთშაბათს, 25 ენკენისთვეს 1914 წ. ნაშუადღევს 4—10 ს.

## დაიწყა ქართული თეატრი



დედა

## № 30

## შინაარსი:

1. დაინთქა კერა ხელოვნებისა, მეთაური 1
2. მოჩვენებული სინამდვილე, მეთაური “
3. უპასუხო, ლექსი გ. ქუჩიშვილისა 2
4 სტუმრად რეჟისორ კ. მარჯანიშვილ-თან, შ. საფაროვისა ”
5. მთვარის თვალები, თაგუნასი 5
6. ხალხური შემოქმედება, ლექსი რუსთველზე, ი. სინჯიაშვილისა 5
7. სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეთა საყურადღებოდ, ტიმოთე მადაროელისა ”
8. ქართველ მწერალთა წერილები,— წერილი ლადო აღნიაშვილისა 6
9. შემოდგომა, ლექსი გ. ლეონიძისა 8
10. საათი, დ. თურდოსპირელისა ”
11. სევდით ამონაკვნესი, მუშა ვასილისა ”
12. სურათი ზღვის პირას, მტირალი ტირიფისა 9
13. კომპოზიტორ დ. არაყიშვილი, როგორც ლოტბარი, გ. საყვარელიძისა 10
14 ცხოვრება (დასასრული) ს. გლახაშვილისა 11
15. ახალი ნაბიჯი, („მსხვერპლი“ წარმოდგენა ა. წუწუნავას რეჟისორობით) ვახ. კოტეტიშვილისა 13
16. ქარული სეზონი ქუთაისში, L' ami-სა 15
17. წვრილი ამბები; სურათები; განცხადებანი

## ექ. ი. გომართელი

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს მიიღებს ახალ ბინაზე (ანასტასიევის ქ. № 8, ვერისკენ) დილით 8—11 ს., საღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.

## საზოგადოების საყურადღებოდ

„თბილისში დაარსდა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა **„ანქარა“**, რომლის წესდება დამტკიცებულია თბილისის გუბერნატორის მიერ 4 ივნისს ამა 1914 წლს. ამხანაგობა „ანკარა“ თავის მიზნად ისახავს: შეძლებისდაგვარად შეიძინოს თავისუფალი მიწები და მშრომელი მუშა წევრების გამრჯელობით, მეურნეობის მოყვარულთა მხნე მოქმედებით და ამ საქმის ზედ-მიწევნით მცოდნე პირთა ხელმძღვანელობით დაამუშაოს ეს შეძენილი მიწები. ამ მიზნის მისაღწევად ამხანაგობა „ანკარა“ პირველ ყოვლისა შეიძენს რამდენიმე ასეულ დღიურს ჭავით, ნიადაგით, აგრეთვე წყლით და მოხერხებულის გზებით შემკულს მიწას. ამ მიწის ერთ საუკეთესო ნაწილთაგანს ამხანაგობა „ანკარა“ დაჭყოფს წვრილ ნაჭრებად თავის წევრთათვის საავარაკოდ ფართო ქუჩებით და მოედნებით, რათა ყოველ წევრს მისი ოჯახობით საშუალება მიეცეს, მოეწყოს ისე, როგორც თვითონ ესიამოვნება. დანარჩენ ადგილს ამხანაგობა „ანკარა“ დაამუშავებს ისე, როგორც საჭიროთ და შესაძლებლად დაინახავს და სხვა. საწევრო გადასადი ყველასათვის ხელ მისაწდომია:—ორი თუმანი წელიწადში, რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ამხანაგობაში შესვლის მსურველმა უნდა მიმართოს მის დამაარსებელთაგანს, თბილისის ქალაქის ხმოსანს გიგო თოიძეს, გონჩაროვის ქუჩაზე, № 23.

ვინაიდან ომიანობამ ხელი შეგვიშალა, ამიტომ

## ჯაჯუ ჯორჯიკიას

თხზულებათ პირველ ტომზე ხელის მოწერას ვაგრძელებთ ენკენისთვის ბოლო რიცხვებამდი. წიგნი ხელის მოწერით ღირს **ათი შაური**. ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ქუთაის „შრომის“ რედქციაში გიგლა მებუკეს. გამომცემლობა «ნარგიზი».

(5—1)




№ 30

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ-დრამატ. საზოგ. კანტორაში და „სორაპან“ სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, ред. „Театрида Цховреба“ Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., სალამოთ. 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 30 კვირა 28 ენკენისთვე 1914 წ.

## 28 ენკენისთვე

**დაინთქა კერა ხელოვნებისა**

დაიწვა ქართული თეატრი, ცეცხლმა შთანთქა მთელი დარბაზი, დეკორაციები, ქართულ დრამატიულ საზოგადოების წიგნთსაცავი (ხელთნაწერები), არქივი და სხვა ქონება... ცეცხლმა ეს არ იკმარა და შთანთქა ქ. შ. წ. გ. ს. წიგნთა საწყობი, არა ნაკლები ზარალი მიაყენა „ახალ კლუბს“ და სხვა საზოგადო თუ კერძო დაწესებულებათ. ამავე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჩვენი—„თეატრი და ცხოვრების“—სარედაქციო მასალები, გამოცემანი და კლიშეები. . ჯერ არაა გამორკვეული გადარჩა რამე თუ არა...

ეს მოხდა ხუთშაბათს, 25 ენკენ., ნაშუადღევის 4 ს. და რაღაც სამი-ოთხი საათის განმავლობაში ყოველივე განადგურდა.

რაც ცეცხლმა დააკლო, ფეხქვეშ გაითელა, წყალმა წალეკა, ჰაერში გაიფანტა..

ქართულ დრამატიულ დასს დაეხშო კერა, მოეშალა ფუძე...

ქართველმა ხალხმა დაჰკარგა ის ერთად-ერთი დაწესებულება, სადაც სულს ითქვამდა, მთელი არსებით სამშობლოში ჰგრძნობდა თავს, მთელს ერს უკავშირდებოდა...

მაგრამ სასოს ნუ წარვიკვეთავთ..

ქართველ ერს ბევრ გზის მოვლენია უზომო უბედურება, მაგრამ მრავალ ჭირნახული, ცეცხლ-გამოვლილი, გაკაჟებული და მხნედ შესდგომია სამომავლო მუშაკობას, რადგან სცოდნია-რომ „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა!“

სათეატრო შენობის დანთქმამ ბევრით აზარალა დრამ. საზოგ. გამგეობა, მაგრამ ამან არ უნდა შეაკრთოს იგი, საქმე არ შეაფერხოს.

გამგეობამ შესაფერი ადგილი უნდა მოიძიოს და წარმოდგენების მართვა განაგრძოს.

ამ მხრით ხელი უნდა შეუწყონ იმ ჩვენმა დაწესებულებათ, რომელთაც სამშობლო სცენა რაიმე ღირებულებად მიაჩნიათ!..

**მოჩვენებული სინამდვილე**

რა არის მხატვრული განცდა, მოჩვენებულ სინამდვილით აღფრთოვანება, ხელოვნურად ნაჩვენებ საზარელ სურათებითაც-კი უმაღლესი ტკბობა,—ამის შეცნობა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც გასულ კვირას, 21 ენკენისთვეს, ქართულ თეატრში „მსხვერპლი“ (განსაკუთრებით პირველი მოქმედება) ჰნახა.

მას დღეს აქედ **ქართულ სათეატრო ხელოვნებას** ახალი დასაბამი დაედო, ახალი დასაწყისი! ჩვენის ცხოვრების სიმახინჯე-ვარამი, კაცთა გულის მესაიდუმლე მწერლისა და ჯადო-რეჟისორის ხელით განსახიერებული, ხელოვნების გამარჯვებას დღესასწაულობდა...

იყო ძველი—აწ აღარ იქმნება, და თუ უხამსი „რეჟისორი“ ანუ ხელოსანი აქტიორი კიდევ გაჰბედავს ხელოვნების გამასხარავებას, მას გემო-განვითარებული საზოგადოება ზურგს შეაქცევს.

ამ წარმოდგენამ ნათელჰყო ჩვენ მიერ არა ერთ გზის გამოთქმული უცილო ჭეშმარიტება, რომ სცენა მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილის მხატვარი უნდა იყოს, წარმოდგენა—ყოველმხრივ ხელშეწყობილი და რომ მხოლოდ ასეთს წარმოდგენას შეუძლიან მაყურებელთა წრთვნა-აღზრდა!

ამ წარმოდგენის ერთი უდიდესი ნაკლთაგანი ის იყო, რომ ერთმა მსახიობმა თამაშობის დროს სავსებით ვერ უარჰყო თვისი პიროვნება, ვერ შეეგნო, თუ ვინ იყო სცენაზე და რა წამს ქანდარიდან თვისი გვარის დაძახება და ტაში მოესმა, საზოგადოებას

(პარტერ-ლოჟებს) გადაჰხედა, კეკლუცად თავი დაუკრა და... ისევ „პრისტავად“ იქცა!

ეს იყო უმაღლესი შეურაცხყოფა ხელოვნებისა, შებილწვა წმიდა ტაძრისა..

სხვა დროს, როდესაც სცენაზე უხამსად შეთხუპნულ-ჩაცმულ, უაზროდ მორაცრაცე მსახიობს ვხედავდით ხოლმე, ასეთს მოვლენას ყურადღებას არ ვაქცევდით, ბუნებრივადაც ვსახავიდით, მაგრამ ამ საღამოს, ასე ბუნებრივად ნაჩვენებ ცხოვრების სურათში, ზემოხსენებულ მსახიობის როლის ქერქიდან გამოსვლა მეტის მეტად უხეშად გამოჩნდა...

იმედია, ეს იქნება პირველი და უკანასნელი.

მაყურებელს ჰსურს დაინახოს ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ესა თუ ის ხატება და არა რომელიმე მსახიობის პიროვნება!

მსახიობს თვისი „მე“ იმდენად უნდა ახსოვდეს, რამდენადაც იგი როლის შეგნებით აღსრულებისთვის სჭირია, სხვაფრივ მსახიობი მხოლოდ ნაკისრ როლის სრული მონა-ხატება უნდა იყოს, მისთვის ნაკისრ მოვალეობის გარეშე სხვა არა რა უნდა არსებობდეს. დაე, იგრიალოს საზოგადოებამ, თუნდ თეატრიც დაინგრეს, იგი, ჭეშმარიტი მსახიობ-გამსახიერებელი, მაინც უდრეკლად უნდა იდგეს, ვითარც მღვდელმსახურების დროს წმიდა მოძღვარი, სრულ ექსტაზში მყოფი და ვინც ასე არ იქცევა, იგი მოჩვენებულ სინამდვილეს ვერ შეჰქმნის, ხელოვნების მწვერვალს ვერ უწევს!..

და რამდენად უფრო შეგნებით, სრულის შემეცნებით, ხელოვნურად და უნაკლოდ შეასრულებს ესა თუ ის მსახიობი ნაკისრ როლს, რა გინდ უმნიშვნელო იყოს, იმდენად თვის სახელს ღრმად დააჩნევს მაყურებელთა გულ-გონებას და მეტს პატივისცემას მიიზღავს..

ის, რაც ჩვენმა და ჩვენის სათეატრო ხელოვნების ყველა ჭეშმარიტ მსახურ-მოყვარულის ნატვრას შეადგენდა, სახელდობრ — ვღირსებოდა პიესის მთლიანობით, მისი სულისკვეთებით დატკბობა, სრულ ანსამბლით დადგმულ წარმოდგენების ხილვა, უკვე გვეღირსა.. გვეღირსა და, იმედია, ასეთ დასაწყისს ბრწყინვალე შედეგიც მოჰყვება. უკვე დამტკიცდა, რომ ჩვენც შეგვძლებია ხელოვნების საკმაო შეგნებით სამსახური!..

სიტყვა საქმედ იქცა.. ვეცადნეთ ამ საქმის გაზრდას..

# უპასუხო

ოჰ, ასე ადრე რისთვის დაეშვი
შემოღამების მძიმე ბინდბუნდო...
ან შენ საითკენ მიეშურები
მშობლიურ ქვეყნის წეროთა გუნდო?..

არას მომითხრობთ... ჩემს დაღვრემილ სულს
მხოლოდ სიჩუმე ესაუბრება,
და მთების ნისლი, ნისლი სნეული,
ჩემდა საცრემლოდ მოეშურება...

დავრჩები ასე... უხმოდ, უსიტყვოდ,
ზლაზვნით გავყვები ხრიოკ მწვერვალებს,
და თუ გზას ავცდი, ამ ბნელ ღამეში,
ჩემივ ხელებით დავითხრი თვალებს...



# სტუმრად რეჟისორ კ. მარჯანიშვილთან



**კ. მარჯანიშვილი**
სახელგანთქმული რეჟისორი. თითქმის ოცი წელიწადია, რაც საქართველოდან წავიდა და რუსულ სცენაზე მოღვაწეობს.

რუსეთიდან დაბრუნებისას როსტოვში გავიგე, რომ ჩვენი თანამემამულე კოტე მარჯანიშვილი იქ იმყოფებოდა, რეჟისორად მიწვეული ანტრეპრენიორ გრიშინთან ამალისეულ თეატრში. მოვიწადინე იმის ნახვა, მაგრამ ცოტახანს შევფიქრიანდი: ვაი თუ არ მიმიღოს-მეთქი, რადგან თბილისში ბევრჯელ გამეგო, გარუსებულა და ჩვენი ხალხის ნახვა ეჯავრებაო. მაინც გადავწყვიტე მისვლა.

სახლში მივედი, მითხრეს თეატრშიაო. წაველ თეატრში. კარის კაცმა შემიყვანა სასტუმროში. კ. მარჯანიშვილი ესაუბრება უჩვენებდა მხატვარს. მივედ და მძიმედ დავუკარ თავი, იმანაც აგრედვე მიპასუხა და წამოდგა.

— Чѣмъ могу служить?.. მითხრა, ты вѣдь Сапаровъ Шакро.

— Да, я Шакро.

გადამეხვია, დიდხანს მკოცნა. თვალებში ცრემლები მოერია.

—წამო, წამო ჩემს სამეცადინო ოთახში.

წავედით, გავიარეთ თეატრის კულისებში და სცენის პირს თავის სამეცადინო ოთახში შემიყვანა, კარები ჩაკეტა, რომ ლაპარაკი არვინ დაგვიშალოსო. ოთახის კედლებზე ესკიზები იყო გაკრული.

—დაჯექ, დაჯექ! მიამბე ყველაფერი, მიამბე: საიდან, რომელმა ქარმა გადმოგაგდო აბა, მითხარი, ჰო! როგორა ხარ?..აგერ, თითქმის ოცი წელიწადი იქნება, არ მინახვიხარ.

ბევრი მუსაიფის შემდეგ უთხარი:

—კოტე, თუ დრო არა გაქვს, მე წავალ, კიდევ გნახამ... ხვალაც აქ ვარ!

—აპა პა!..— აბა მაგას რას ამბობ? საქმე კი ბევრი მაქვს! მაგრამ შენ რომ გხედამ, ჩემი თავი საქართველოში მგონია: რამდენი ხანია ქართული სიტყვა არ გამიგია. მიამბე როგორ არიან ჩვენები?

—ვინ თქვენები?

—ჩვენი არტისტები. თეატრის საქმე როგორ მიდის, 'ვასო, მაკო ხომ თამაშობენ, როგორ არიან?.. საწყალ კოტეს რა დაემართა?... მიამბე, მიამბე!.. მე მწყურიან საქართველოს ამბის შეტყობა!..

ცდილობდა ქართულად ელაპარაკნა, ხანდახან რუსულს ჩაურთობდა ხოლმე.

—თუ მაგრე გაინტერესებს ქართული საქმე, რა გიშლის ჩამოხვიდე და ააყვავო ჩვენი ეროვნული თეატრიც, როგორც რუსებისა მეთქი.

—ეჰ! (მაგრად ამოიხრა) გულითაც რომ მინდოდეს ჩამოსვლა, რა იქნება?!

—როგორ თუ რა იქნება? ის იქნება, რომ ხელოვნურად და მხატვრულად დასდგამ წარმოდგენებს და ჩვენს დაქვეითებულ თეატრს წინ წასწევ.

—მე რომ 50,000 მან. მქონდეს, მაშინ ერთ დღესაც არ დავრჩებოდი აქ.

მე გამიკვირდა. შევეკითხე:

— რათ გინდა მაგდენი ფული? ჩვენი თეატრი ათ წელსაც ვერ შემოიტანს.

—არა, შაქრო, შენ არ გესმის. აი, მაგალითად, ეს ფული რომ მქონდეს, ან გამოჩნდეს ასეთი კაცი, რომ ამ თანხის გამოღება შეეძლოს, მეორე წელიწადს ჩავაბარებდი... ჯერ ერთი ესა, რომ ერთ წელიწადს სეზონი არ უნდა იყოს. საჭიროა კაცმა დაიქირაოს არტისტები და ახალგაზრდობა, გაიმართოს სამეცადინო სკოლა, 1000 მ. ჯილდოთ მიეცეს ვინც ახალ ორიგინალურ პიესას დასწერს; შეიკრიბოს შესაფერი ტანისამოსი, მიწვეულ იქმნეს საუკეთესო მხატვარი, რომელმაც საგანგებოდ უნდა დახატოს დეკორაციები, გაკეთდეს ბუტაფორია, შეკეთდეს თეატრი და სხ.

მთელი წლის განმავლობაში უნდა მომზადდეს 10 ახალი ორიგინალური პიესა, მხოლოდ მეორე წელს დაიწყოს სეზონი და მორიგეობით დაიდგას ეს ათი ახალი პიესა. და გარწმუნებ, ის ქართველი საზოგადოება, რომელიც რუსულ თეატრში გარბის უკეთესად დადგმულ პიესის სანახავად, იქ აღარ წავა და თავის თეატრს მიატანს, როდესაც დაინახავს, რომ თავის ეროვნულ თეატრში გამართული წარმოდგენა უკეთესია და გაცილებით სჯობია რუსულ წარმოდგენებს მაშინ ის ინტელიგენცია, რომელიც ახლა არ ეკარება ქართულ თეატრს, იამაყებს თავის ეროვნულ თეატრით და მსახიობით. გაიღვიძებს იმათში პატრიოტული გრძნობა და მთლად ჩამოშორდება უცხო წარმოდგენებს. ამ გვარად შექმნილი საქმე თავისზედ დახარჯულ ფულს აინაზღაურებს. აი ამ პირობაში შემეძლო მემუშავნა და ჩემი შრომაც უნაყოფო არ იქნებოდა.

ამ ლაპარაკში სადილობამ მოაღწია. სადილზე მიმიწვია, მე ცივი უარი უთხარი.

—რათა, რატომ არ გინდა ჩემთან ისადილო?

—არამც თუ სადილი, შენთან მოსვლას აქაც-კი ვერა ვბედავდი. მეგონა არცკი მიმიღებდი, რადგან შენზე გავრცელებულია ხმა, ამაყია და ქართველების ნახვას თაკილობსო.

—ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემზე ასეთი ხმა გაუვრცელებიათო მე რომ ქართული სიტყვა-პასუხი მესმის, თავი საქართველოში მგონია და შენმა ნახვამ ჩემი სიყმაწვილე მომაგონა.

სადილზე ძალიან მხიარულად იყო.

—აბა, შაქრო, ერთი ძველი მრავალჟამიერი ვსთქვათო, დაიწყო სიმღერა. მე გამეცინა:

—აბა, მე და შენ რომ ვიმღეროთ, ხომ სიმღერა შევაძულეთ ამ უცხო პირებსა მეთქი. (არ-

ტისტი ჰყავდა მოწვეული თავის ცოლით. ქალი პოლონელი იყო). სტუმრები შეეკითხნენ, ეგ რა სიმღერააო. კოტემ აუხსნა მნიშვნელობა ამ სიმღერისა. მერე მოჰყვა სადღეგრძელოებს: ადღეგრძელა ჩვენი თეატრი და საქართველოს ეროვნულ თეატრს აყვავება უსურვა. განა ქართველობას საკუთარი თეატრი აქვთო? შეეკითხა პოლონელი ქალი.

—როგორ თუ აქვთო? ამაყად უპასუხა: გვაქვს და ისეთი ნიჭიერი მსახიობებიც გვყავან, რომ რუსის არტისტებს თუ არ სჯობიან, არაფერში ჩამორჩებიან: აბაშიძე, მესხიევი, საფაროვისა, გაბუნია, ყიფიანი და სხვანი. მ. გ. საგინა იყო საგასტროლოდ მიწვეული თბილისში. ჩვენი არტისტი ქალი საფაროვისა ნახა სცენაზე და ისე აღტაცებაში მოვიდა, რომ საპირფარეშოში შევიდა, გადაეხვია, დაჰკოცნა და უთხრა: ძალიან ვწუხვარ, რომ რუსულ სცენაზე არა ხარ, სადაც ცალი არ გეყოლებოდათ!.. სადილობამ მხიარულად ჩაიარა, კახურ ღვინოს სვამდა. კახეთის ქებაში იყო...

მსახიობი **შაქრო საფაროვი**

# მთვარის თვალები

გაზაფხული მიიწურა.

ქორწინების პირველი თვეც თავდებოდა.

მაგრამ ბედნიერება ისე ძლიერი, ისე აშკარა იყო, რომ ტურფად გადაშლილ ვარდზე მომღერალ ბულბულსაც და მშვენიერ ქალის ალერსით დამთვრალს, ახალ დაქორწინებულ ვაჟსაც, ეგონათ, ნეტარება ეს-არის, ახლა იწყებაო.

უცებ, ერთ საუცხოვო დილას, გარიჟრაჟზე, სწორეთ იმ წუთში, როცა ბულბული საუკეთესო კრიმანჭულს უწნავდა ვარდს რაკრაკით, და მიბნედილი ვაჟი ტანჯვით გამსჭვალულ მხურვალე კოცნას სწყვეტდა მიბნედილ ქალის ტუჩებზე,..

— ბულბულმა მებაღეს მოჰკრა თვალი, ხოლო ვაჟმა ფოსტის შიკრიკის ზარის წკარუნი გაიგონა.

მებაღემ მოსჭრა ბულბულის ტურფა ვარდი, შიკრიკმა კი ვაჟს დეპეშა მოუტანა:

— დაუყონებლივ ჩამოდით.

ბულბულმა არც ტყვია იკრა გულში, არც თავი ჩამოიხრჩო: გაფრინდა სხვაგან და თან წაიღო—გულში ტკივილი, თავში კი აზრი,—ნეტა კიდევ ვნახავდე ასეთ ვარდსო.

ვაჟი კი წასასვლელად მოემზადა.

განშორებისას ორივე სტიროდენ: ქმარიც და ცოლიც; მაგრამ ქმარი ცდილობდა ცრემლი შეეკავებინა, ცოლი კი, რატომღაც, სრულიად, არ მალავდა კურცხალს და მისი ღაწვები მარგალიტით შერთვილულ ვარდსა ჰგავდა.

-- მიყვარხარ! -ნაზის ჩურჩულით ეუბნებოდა ვაჟი.

— მიყვარხარ! ნაზი ჩურჩულითვე უპასუხებდა ქალი.

—გულო!- უთხრა ვაჟმა წასვლისას: ახლა მშვენიერი მთვარიანი ღამეებია... გევედრები: საღამოობით, 10-დან 11 საათამდე, უცქირე ხოლმე მთვარეს თვალდასმით და ჩემზე იფიქრე... ამ დროს მეც მთვარეს მივაშტერდები... ჩვენი თვალები იქ შეიყრებიან და, ვინ იცის, იქნებ დავინახო კიდეც გატეტკილ მთვარეზე შენი აგზნებული თვალები!..

— მე კი შენი!—ოდნავ გასაგონათ წარმოსთქვა ქალმა და აქვითინდა.

ვაჟი წავიდა...

———

საღამოს, დანიშნულ დროს, ის სარკმელთან იჯდა—შორს, შორს—გული სევდით ჰქონდა სავსე, თვალი კი მთვარისთვის გაეყარა.

———

სწორეთ ამ დროს მისი ცოლი ლოგინზე იწვა გარინდებით, დაქანცული და ოდნავ ფერნაკრთომი.

სარკმელთან კი მისი საყვარელი იდგა უძრავათ და რაღაცას მისჩერებოდა.

— რას უცქერი ეგრე დაჟინებით?— ნაზის, მიბნედილის ხმით ჰკითხა ქალმა.

— მთვარეს..—უპასუხა საყვარელმა.

— რასაო? კვლავ ჩაჰკითხა ქალმა.

— მთვარეს მეთქი! ვერ წარმოიდგენ, რა უცნაური სანახავია დღეს მთვარე. ასე მგონია, განუსაზღვრელ სევდით სავსე თვალები მიყურებს მეთქი იქიდან!..

მაშინ ქალს ხარხარი წასკდა, გიჟური, შეუკავებელი ხარხარი.

—რას იცინი? გაკვირვებით ჰკითხა ქალმა.

— კარგათ.. დააკვირდი... მთვარეს... ძლივს აბრუნებდა ენას სიცილისაგან მისუსტებული ქალი: დაუკვირდი... კარგათ... იქნება.. იცნო... ის ხომ... ჩემი ქმრის... თვალები ..

**თაგუნა**



**ლოტბარი სოლომონ ისრაელის ძე პრესმანი**

მეოთხე წელიწადია რაც „ახალი კლუბი“-ს ორკესტრს ჰლოტბარობს, მონაწილეობს საოჯახო საღამოებსა და ზოგჯერ ქართულ თეატრშიაც. ცნობილია ვითარცა შრომის მოყვარე, კეთილ-სინდისიერი აღმასრულებელი თვისი მოვალეობისა. გასულ ზაფხულს მუდმივ მონაწილეობდა „ახალ კლუბის“ საღამოებში და ახლაც იქვეა მიწვეული.

## ხალხური შემოქმედება

განვიძრახეთ შეძლებისამებრ ვბეჭდოთ ხალხური ნაწარმოები—ლექსნი, იგავ-არაკნი, ანდაზა-ზღაპარნი და სხ. ამიტომ ვსთხოვთ ყველას მოგვაწოდონ ასეთი მასალა.

**რედ.**

### ლექსი რუსთველზე

(თქმული ილიკო სინჯიაშვილისაგან ს. კაკაბეთში)

ქართული ენით მოლექსე
რუსთველის წინა ვინ არი?
არავის უთქვამს მის ტალი—
მის ტოლი არავინ არი.
მთელი რვა საუკუნეთი
რუსთველის აზრი წინ არი
და მის ნაქები მწერლობა
ჭერაც-კი აქამდინ არი.

## სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეთა საყურადღებოდ

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისში არსებობს ხუთი „ქართული წარმოდგენების მმართველი წრე:“ 1) ზუბალაშვილის სახალხო სახლთან, 2) ავლაბარში, 3) ნაძალადევში, 4) ხაროფუხში და 5) საბურთალოზე.

ეჭვს გარეშეა, ყველა ეს წრენი ემსახურებიან ერთსა და იმავე მიზანს: უმართონ ხალხს იაფ-ფასიანი, ზოგჯერ უფასოც, შინაარსიანი და მხატვრული წარმოდგენები; თვით-ცნობიერება შეიტანონ მდაბიო ხალხში, განასპეტაკონ მისის გრძნობა: აამუშაონ მისი გონება და აზროვნება; ჩაახედონ წარსულსა და აწმყოში და მით ნიადაგი მოუმზადონ მომავალ ახალ თაობას და სხ....

მაგრამ ამ მოვალეობას განა პირნათლად ასრულებენ წრენი?

—არა!..

და იმიტომ კი არა, ვითომ ამ წრეთ არა ჰსურდეთ გულწრფელად ემსახურონ ხალხს, ან და თავიანთს ნაკისრს საქმეში გულგრილობას იჩენდნენ,—არა,—ამისი მიზეზები სულ სხვაა.

ვისაც სახალხო თეატრის სარბიელზე უმუშავნია და მუშაობს, ის დაგვეთანხმება, რომ ყოველ წრეში არის თითო-ოროლა გამოცდილი, ნიჭიერი სცენის მოყვარე, მხოლოდ თითქმის ყველა წრე განიცდის ქალთა ძალების კრიზისს, რის გამოც ჩვენი წრენი აუტანელ მდგომარეობაში არიან; მაგ. როდესაც გვსურს დავდგათ ესა თუ ის პიესა, უპირველეს ყოვლისა, იმაზე კი არა ვფიქრობთ, იგი ხელ-მისაწდომია ხალხისათვის, ან სასურველი? არამედ ვკითხულობთ: რამდენი ქალი იღებს მონაწილეობასაო? და თუ ქალების მომქმედ პირთა შორის რაოდენობა სამს ან ოთხს აღემატა, მაშინ რეჟისორი იძულებულია, ან გადასდოს, ან შეამოკლოს, რამდენიმე ქალის როლი გამოსტოვოს და, ამ ნაირად, საზოგადოებას უჩვენოს დამახინჯებული წარმოდგენა.

მეორე საგრძნობი დაბრკოლება—რეკვიზიტის და ავეჯის უქონლობაა. ამის წყალობით, ხშირად ესა თუ ის წარმოდგენა მოკლებულია მხატვრულ მხარეებს.

საჭიროდ არ მიგვაჩნია აღვნიშნოთ მრავალი სხვა ნაკლულევანება ჩვენის წრეებისა, რადგან ვინც წრეში მუშაობს, ეჭვს გარეშეა,—თვით ზედმიწევნით ეცოდინება მისი ნაკლულევანება.

რა ღონისძიებაა საჭირო, რომ წრეებმა თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეასრულონ და ზემო აღნიშნული დაბრკოლებანი თავიდან აიცდინონ?

ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ყველა არსებულმა ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრეებმა ურთიერთშორის იქონიონ **მჭიდრო დამოკიდებულება, ორგანიზაცია-კავშირი.**

თუ როგორ შევქმნათ ეს ორგანიზაცია-კავშირი, ამისათვის აუცილებლივ საჭიროა, მოწვეულ იქმნას არსებულ ქართ. სახ. წარმ. მმართველ წრეების გამგეობათა წევრების კრება. ამ კრების მოწვევა უნდა იკისროს ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულმა წრის გამგეობამ, ვინაიდან ეს წრე შუაგულ ქალაქშია მოთავსებული. სწორედ აქ, ამ საერთო გამგეობათა წევრების ყრილობაზე უნდა შემუშავებულ იქმნას საერთო გეგმა მუშაობისა, საერთო რეპერტუარი, სცენის მოყვარეთა ძალთა განაწილება ამა თუ იმ პიესაში. აქ უნდა წარმოადგინოს ყველა წრემ თავისი ინვენტარი—ქონების სია, რათა გამოკვლეულ იქმნას, რა და რა რეკვიზიტი აკლია ამა თუ იმ წრეს, როგორ მოეწყოს საქმე, რომ ეს ნაკლი წრეს თავიდან ავაშოროთ და მით ხელი შევუწყოთ პიესის მხატვრულად დადგმას.

აქვე უნდა აღიძრას საკითხი საერთო ქართული გუნდის დაარსებისა, რომელიც საჭიროების დროს მიიღებს მონაწილეობას ყველა არსებულ წრის წარმოდგენა-საღამოში. ამავე კრებამ უნდა შეიმუშაოს საერთო გეგმა სეირნობის მოწყობის, და მრავალ სხვა საგულისხმო საკითხთა შესახებ, რომელიც აღიძვრება ამ საერთო კრებაზე თქმა არ უნდა, წრის გამგეობის წევრნი, რომელნიც ახლო უდგანან საქმეს და ზედმიწევნით იციან ღირსება-ნაკლულევანება თავიანთი ძალღონისა, აღნიშნავენ და საერთო კრებაც საჭირო მალამოს გამოუძებნის. ამ შემთხვევაში წრეთა შრომა ნაყოფიერი იქნება, ღირსეული და ღონიერიც... ისე კი, როგორც ახლა ვმუშაობთ, გაფანტულად და დაქსაქსულად, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ თავსაც ვაწუხებთ და ხალხსაც არ ვაძლევთ იმას, რაც ესაჭიროება და რის მიცემაც აუცილებლივ შეუძლიან მხოლოდ და მარტო ამ წრეთა შეერთებულ-შეკავშირებულ ერთეულ ძალას.

ყველა ზემო აღნიშნულ საკითხების განსახილავად და გადასაწყვეტად საჭიროა ზუბალაშვილის სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრის გამგეობამ ახლავე მოიწვიოს საერთო კრება ყველა წრის გამგეობათა წევრებისა. არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ძალა მხოლოდ ერთობაშია.

**ტიმოთე მალაროელი**

# ქართველ მწერალთა წერილები



**ლადო აღნიაშვილი.**

წერილი ლადო აღნიაშვილის-მიერ ალექსი მირიანაშვილისადმი მოწერილი სპარსეთიდან 1895 წელსა.

ქ. ისპაჰანი (სპარსეთს) 22 აპრილს 1895 წელს.

ძმაო ალექსი!

როგორც გეტყობა, შეგიმოსნია შენც აბჯარი სიზარმაცისა და არ გინდა ერთი წერილი მოიწერო. ერთი-კი, მართალია, მოიწერე, მაგრამ, არ დაგავიწყდეს, რომ შვიდი თვეა აქა ვარ და იმ ერთი წერილის მეტი არ მიმიღია შენგან; მაგრამ, თუ უკაცრავად არ ვიქმნები ამაზედ, ნათქვამია უწინდლიდგან—„კაცი კაცთან დააბიო—ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“.

ეხლა მოგწერ ცოტა რასმე ჩემის მოგზაურობისას და აი ყური დაუგდე (პირველი ნახევარი ილიკოს წერილშია).

თეირანიდგან გამოველ 8 ღვინობისთვეს, მგონია, კარგად არ მახსოვს. ოცზე მეტი კაცი (მგზავრები) ვიყავით ქარავანში და რომ ჩალავდრები და ჯორ-ვირებიც ვიანგარიშოთ, ას სულამდე ვიქნებოდით. მხიარული ქარავანი იყო, რაც ამათ შეეფერებათ. რასაკვირველია, დედაკაცებიც ერივნენ თავიანთი „პალაკებითა“ და „გეჯავებით“ რასაკვირველია, გეცოდინება, რა არის ერთიცა და მეორეცა: ორივე პატარ-პატარა საბუდრებივით ყუთებია, მხოლოდ პირველი გადაფარებული (დედაკაცებისათვის) და მეორე ახდილი (საზაფხულო)

ანუ კაცებისათვის). ესენი ორ-ორი გადაბმულია ერთმანეთზე და ხურჯინივით გადაკიდებული ცხენზედ. შიგ მჯდომი უსათუოდ უნდა ეცადოს, რომ თანასწორობა არ დაარღვიოს, თორემ ორივენი პანტაპუნტით წამოვლენ თავიანთის ოთახებით.

ქარავანი კაი სანახავია, მაგრამ, რასაკვირველია ამ ადგილებში; მანდ რო იყოს, ცოტა კინტოების ყეენობას ემგზავსებოდა და სამასხარაო იქნებოდა. აქ-კი ამ უდაბნო და ვერანა ადგილებში, სადაც 40 და 60 ვერსზედ წყალს ვერ შეჰხვდები, ხეს ვერ დაინახავ (ხშირად ბალახიც-კი არ არის, ძაღლის ყეფასაც ვერ გაიგებ და მამლის ყივილსა, როგორც იტყვიან, ესე იგი, სადაც არც გზაა, არც ბუნება და არც ხალხი,— აქ თავისი შნო და ლაზათი აქვს ამ ქარავნებს. 40-60 სული კაცი და ქალი თავიანთის ბარგითა და სახედრებით, რომელნიც ყოველთვის ერთიორად მეტნი არიან ხოლმე ხალხზედ, შიგ ჭრელად ერთმანეთში არეულნი, როგორც ჩაცმულობით, ისრევე გარეგანის სანახაობით; ზოგი ფეხით მიაბოტებს, ზოგი ვირზეა გადაბოტებული, ზოგი პალანკინში ზის, ზოგი ქეჯავაში და ზოგიც ცხენზეა წამოსკუპებული, თანაც უფრო მაღალი ჩანს, რადგან ცხენს თავისი ფალავანი, ოთხი ხუთი ხურჯინით, საბნები და პალტოები, ყველაფერი ზედ აყრია. ზოგი მღერის, ზოგი ჩავლადარს ეჩხუბება ზოგი სთვლემს და თუ ნაჩვევი არ არის, დეეშვება თავდაყირა ფალნიდგან. დაუმატე ახლა ამას ზარების რეკვა და წკარუნი და ეჟვნების ჟღარუნი, რომლებითაც ამათი სახედრები შემკობილნი არიან და იქნება მცირედათ მაინც წარმოიდგინო ეს სურათი. ზარი აუცილებელი საჭიროებაა ქარვანისათვის, რადგან მხოლოდ ეს არღვევს აქაური მკვდარი ბუნების მკვდარ მყუდროებას. ამისათვის ხშირად შეჰხვდები ქარვანის მოწინავე ცხენს, რომელიც მშვენივრად (ამათის გემოვნებით) არის შემოსილი და მთლად ზარებით შეჭედილი და უნდა უყურო, როცა ამისთანა ცხენსა ჰნახვენ, რა მშურვალი თვალით უყურებენ სხვა ჩალავდრები და მაშინ მისი პატრონიც, როგორც თვით ცხენი (დამერწმუნე, რო ეს მართალია) ჰგრძნობს თავის შინაგან ღირსებას და სრულის სიამაყით ისე ჩაუვლის გვერდს დანარჩენ ქარვანებს, რომ თავის ბედნიერ თვალს ერთხელ არ მიატრიალებს იმათკენ. ზარი ზარსა ჰქვიან და შენ არ გენახვება უთუოდ. ორი დიდი ზარი იციან ყველა ქარავანში, რომელიც ან გადაკიდებული აქვს სახედარს ხურჯინივით და ან ბზის ხურჯინის თვლების ძირში აქვს მოთავსებული; კაი დიდრონი ქვაბის ოდენებია, ბოხი ხმა აქვს და ძალიან შორს გაისმის. საჭიროა ესენი იმისთვის, რომ შეატყობინოს იქიდან მომავალ ქარვანს და გზის აქცევა არ გაუჭირდეთ. ამასთანავე, რასაკვირველია, იმედია სხვა ქარვანისათვის და პირუტყვის გამამხნევებელი ყრუ მინდვრებში.

უფრო ლამაზი სანახავია ეს ქარვანი, როდესაც „მანძილზედ“, ე. ი. სადგურზედ ჩამოხტება. ეს ამათი სადგური წარმოადგენს თავისთავად სწორეს გეომეტრიულ ოთხკუთხს ფიგურას. მისვლისთანავე ყველაზედ უპირველესად კაცს თვალში ეცემა კარის ბჭე. ლამაზი, მოხატული და ხუროთმოძღვრებითი შნოით არის გაკეთებული. საზოგადოდ, ლამაზი კარის ბჭე (პადიეზდი) ძალიან უყვარს სპარსელს და, რაც უნდა უხეირო იყოს, იცოდე, კარის ბჭე ძალიან ლამაზი ექნება; ალბად იმისთვის, რომ, როგორც იტყვიან, „გარედგან მტერს უყენებს თვალებს და შიგნიდგან პატრონსაო“. ამ ქარვასლას უკანა კედლიდგან მოყოლებული გარშემო ბნელი სავანები, ანუ გალერეიები აქვს შემოყოლებული ცხენების დასაბმელად, გომურების სამაგიეროდ. მერე ყველა მხრიდგან, იმის წინ ისევ ოთხკუთხად მოყოლებულია სათითაო ოთახები, რომლებიც რიცხვით 60 მეტია ზოგიერთ ქარვასლაში. ყველა ოთახის წინ დარჩომილია ნახევარ ოთახის ოდენა ადგილი, დერეფანი, უფრო ხშირად თლილის ქვისა. შუაშია ოთხკუთხი ეზო და ხშირად ეზოს შუაშიაც ოთხკუთხი აუზი.

სეირია სწორედ, როცა ქარვანა ჩამოხტება. ვინ წინა და ვინ უკან, ვინ უკეთეს ოთახს ამოირჩევს, ვინ მზის გულას ანუ დაჩრდილულს. მოჰყვებიან მერე და რიგისა ჰგვის და დგება საშინელი კორიანტელი, რიგისა წყალზედ გარბის თავისი სპილენძის „ლულეინით, რიგისა საცეცხლურის—მაგვარ მავთულის რაღაც იარაღს ატრიალებს ხელში და ცეცხლს აღუებს სამოვრისთვის, რიგისას ეზოში გაუჩენია ცეცხლი (შეშა არა აქვთ, ქარვასლის ეზოებს არა ჰგვიან, სადაც საშინლად ბევრი ბზე და საქონლის ფეინი გროვდება), შემოუდგავს ქვაბი, შეუხვევია მთლად ეზოს ნაგავში და აღრჩოლებს საძაგლადა; ზოგი ლოცულობს, ზოგი მღერის, ზოგი ჩუმად არის. უვლიან გარშემო ამ ქარვასლას გლახები, სეიდები და დარვიშები, რომლებიც ყველა ოთახის წინ ჩერდებიან და მღერიან სხვა-და-სხვა ჰკვის სასწავლო შაირებსა; რასაკვირველია, ესენი ყველანი ხოულობენ. დაუმატე ამას ისიც, რომ საქონელი, თუ წვიმა არ არის (აქ წვიმა და სიცივე იშვიათია), ეზოში ამ ოთახების წინ აბია... ზოგი ჩავლადარი ურუოებს თავის ცხენებს და უფრო მეტს აფხაკუნებს თავის სამურველს, თბილისელი პარიკმახერის მაკრატელივით, ვიდრე საქმეს აკეთებს; ზოგი წყალს ასმევს, ზოგი ქერს უმზადებს და უნდა უყურო მაშინ საქონლის მოუთმენლობას, ჭიხვინებენ, რაც ძალი და ღონე აქვთ,—ჯერ მე მომე, არა ჯერ მეო; ზოგი ჯორი გორავს ეზოს ბუჩოში და აყენებს საშინელს მტვერს, ზოგი თავის ქნევით ახრამუნებს ქერს და ამის თავის ქნევაში აწკარუნებს ზარებს. ერთის სიტყვით, ცხენების ჭიხვინი, დარვიშის სიმღერა, მლოცველების გალობა, ჩავლადრების ჩხუბი და ხალხის ყრიამული რაღაც ჭრელი, შეუწყვეტელი რთულად ერთმანეთში გაბმული კონცერტია,—რკინის თავი უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ტვინი შერჩეს.

(გაგრძელება იქნება)

# შემოდგომა

შემოდგომაა... გრიგალი ჰკვნესის, როგორც დაჭრილი ამურის შხამით;
ჩემს ფანჯარასთან ხე იფურცლება, მას მოსვენება არა აქვს წამით ..
და როგორც სული მოხეტიალე, ისე ქანაობს, ისე ირხევა;
მის ყრუ შრიალში არ ისმის ჰანგი, მის ყრუ ტირილში არ ისმის წყევა,
მეცა ვშრიალებ... ოდეს ცხოვრება მომიძღვნის სევდას ტიალს და მწველსა,
მაგრამ არა ვყუჩ... ვიფრქვევი ცრემლად... გულში ვერ ვტოვებ სევდა ნაღვლსა!..
გული ჩამქნარა, ასე უდროვოდ, ვით შემოდგომის ყვითელი ველი,
მაგრამ არ ვკარგავ იმედს რწმენისას და მომავალსაც სიმღერით ველი!..

**გ. ლეონიძე**

# საათი

— წიკ-წაკ... წიკ-წაკ... წიკ-წაკ...— წიკწიკებს საათი და ჰსპობს წუთებს... დღეებს... საუკუნოებს...

— წიკ-წაკ... წიკ-წაკ... წიკ-წაკ...— მიდიან წუთები და მიაქვთ თან სიცოცხლე... სიხარული...

საათის თვითეული ხმიანობა ჰკლავს ჩვენი ცხოვრების ჟამს .. გვაახლოვებს სიკვდილთან და ჩვენ კი ვისმენთ მას აზრ-შეუკრთომლად...

წიკ-წაკ... წიკ-წაკ .. წიკწიკებს საათი ხან-დაუზმელად და გვეჩიჩინება, რომ ყველანი ვიხოცებით ყოველს წუთს... ყოველს წამს... ვჰქრებით მის ტიკტიკსავით... და დადგება ჟამი... დადგება ჟამი და იგივე გვაგრძნობინებს, რომ ყველაფერი მორჩენილია .. გათავებულია... რომ ჩვენი სიცოცხლე გაჰქრება, მოისპობა მისს ხმიანობასავით და აღარასოდეს გამეორდება... აღარასოდეს...

წიკ-წაკ... წიკ-წაკ .. წაკ-წაკ...

ახ, რა მოსაგონარი იყო საათი!..

როგორ. ვერ მიჰხვდნენ, რომ იგი უფრო გაგვიბედითებდა ისედაც ბინდს, მქისე ცხოვრებას...

როგორ ვერ მიჰხვდნენ?!.

**დ. თურდოსპირელი**

# სევდით ამონაკვნესი

(უძღვნი გიორგის)

მუხთალმა ბედმა, უსამართლო ცხოვრებამ ჯილდოდ მარგუნა: სულ ტანჯვა, ბედის წყ.ვლა, ჩივილი, გმობა მწარე ხვედრისა.. ვიყავი ობლად... გული კვნესდა... სული სწუხდა. .

. . . . . . . . . . . . . . . . .

ხსნა ვპოვე ბრძოლაში, გესმით ბრძოლაში! მარტო ვიყავი უძლური; და, ჰა, გპოვე შენ... გულით დავმშვიდდი, სულით მოვისვენე... გამიორკეცდა ძალა... მწარე ბედი, დუხჭირი ცხოვრება, შენში ჩემთვის ლხენა იყო...

. . . . . . . . . . . . . . . . .

ხანმოკლე გამოდგა ჩემთვის ასეთი ლხენით ტანჯვა... აღარ მესმის ცხოვლად შენი მჭექარე ხმა, ხმა ალმაფრთოვანებელი, ხმა წმინდა-სპეტაკი, ხმა სამშობლოს სიყვარულისა...

მესმის მხოლოდ იდუმალად, ეს კი მეტად მტანჯავს, მეტად მაღონებს...

**მუშა ვასილ**

# ომში დაჭრილნი და მოკლულნი



კაპიტანი ნ. იმნაძე
(მოკლული)



კაპიტანი ა. კ. ჭიჭინაძე
მოკლული)



პორუჩ. ა. კ. ფარესიშვილი
(დაჭრილი)



პორუჩ. ა. რ. მიქელაძე
(დაჭრილი)



შტაბ.-როტ. მ. ე. კვინიხიძე

## სურათი ზღვის პირას

მზისა ჩასვლისას ვიდექ ზღვის პირას,
სევდა-ნაღველით გადავყურებდი...
მაგრამ კაეშანს შუა მიყოფდა,
რა სატრფოს სახეს მასში ვხედამდი.

მზე ჩადიოდა... ზღვას ჰშორდებოდა...
და ზღვასაც სახე მთლად ეცვლებოდა,
მეც ავქვითინდი და ზღვისა ტალღებს
ჩემი ცრემლები უერთდებოდა.

**მტირალა ტირიფი**

# კომპოზიტორი დ. არაყიშვილი როგორც ლოტბარი.

ბ არაყიშვილს, როგორც მუსიკოსს, ერთი უპირატესობაცა აქვს; ეს უპირატესობა არის ლოტბარობის ერუდიცია, ე. ი. ლოტბარობის განვლილი სკოლა. ვისაც კი ერთხელ მოუსმენია ბ. არაყიშვილის ლოტბარობით სიმფონიური კონცერტი, ის უსათუოდ გამოიყვანდა იმ დასკვნას, რომ იგი გაწვრთნილი ლოტბარია და არა უბრალო დილეტანტი.

მე ვაქცევ ამ მხარეს ყურადღებას ჯერ იმიტომ, რომ ყველა კომპოზიტორს არ შესწევს ძალა და ნიჭი ნამდვილი ლოტბარი იყოს, მერე კიდევ იმიტომ, რომ თბილისი ძალიან ღარიბია ლოტბარებით (ან იქნებ არც აღმოჩნდეს ლოტბარი იმ ზომისა, რომელსაც ჩვენ დაუყენებთ მას), და ამისთანა ლოტბარის აქ დატრიალება, როგორც ბ. არაყიშვილია, თბილისისათვის დიდი განძია.

ორკესტრი ასე შეგვიძლიან გავყოთ: თავი და ტანი. თავს წარმოადგენს ლოტბარი, ტანს კიდევ ორკესტრის შემადგენელი დამკვრელნი (ასევე ითქმის რეჟისორისა და დასზე). ლოტბარი რაც უფრო ფხიანია, ნიჭიერი, მომზადებული და თვით პიესის ალღოცა აქვს აღებული, მით უფრო მისგან ასრულებული პიესა კარგი გასაგები და სასიამოვნო მოსასმენია.

ბ. არაყიშვილის ღირსება, როგორც ლოტბარისა, იმაში მდგომარეობს, რომ პიესის ასრულების დროს იგი მსმენელს თანდათან უხსნის პარტიტურის საიდუმლოებას, შეჰყავს მსმენელი მის შუა გულში და აწაფებს პიესის დედა აზრს, მის სულსა და გულის. როგორც კარგმა ოპერატორმა გასჭრას ცოცხალი გვამი და დაანახოს მაყურებელს მისი შიგნეულობა, აგრეთვე ბ. არაყიშვილი თავისი მძლავრის და დაკვირვებულ ლოტბარობით უშლის თავის მსმენელს პიესის შინაარსს.

ასეთი უნარი ყველა ლოტბარს კი არა აქვს, თუ გინდ იგი გამოჩენილიც იყოს. ეს უნარი, ან ცის ნაპერწკალი ლოტბარს ბუნებით უნდა ჰქონდეს დაყოლილი და მერე სისტემატიურ სკოლით განვითარებული. მაგალითად რომ შევადაროთ ევროპის ორი უდიდესი ლოტბარი: რ. მალერი, დიდად წოდებული (აწ განსვენებული) და არ. ნიკიში, შემდეგს დავინახამთ: რ. მალერი ისევე შედის მსმენელთან ერთად პიესის სიღრმეში და ისევე უშლის მსმენელს პიესის დედა აზრს, როგორც ბ. არაყიშვილი. *) არ. ნიკიში კიდევ. როგორც უზენაესი ჯამბაზი, ხელოვნურად დასტრიალებს პიესას გარშემო და ისეთ ძოხდენილ, ფერადოვან სურათებით და ეფექტებით ჰქარგავს პიესას, რომ მოჯადოებულ მსმენელს არც კი ჰსურს თავისი შთაბეჭდილება დაარღვიოს და მოისურვოს პიესის შინაარსში შეცურვა.

ამ შედარებით მე ის კი არ მინდა ვსთქვა; ვითომც ან მალერი სჯობია, ან ნიკიში. სრულიადაც არა. ორივე უდიდესი ლოტბარია და ერთს საფეხურზე სდგას. მე მხოლოდ ის მინდა გამოვსთქვა, რომ რ. მალერის მიერ შესრულებული პიესა უფრო გულსა და გონებასა ჰხვდება, არ. ნიკიშისა კიდევ უფრო სმენას და ვის რომელი მოსწონს, ეს კაცის გუნებაზეა დამოკიდებული.

მე-კი ბ. არაყიშვილის ლოტბარობით შესრულებულს პიესას იმიტომ ვაფასებ, რომ მუსიკა, როგორც რომელიმე ჩვენი ცხოვრების მხარის გამომხატველი, მის ხელში სულდგმულობს, ლაპარაკობს და გვამცნობს თავის სულის საიდუმლოებას. ამიტომ არის საჭირო ბ. არაყიშვილის თბილისში დატრიალება არა მარტო როგორც კომპოზიტორისა, არამედ როგორც დიდის ტემპერამენტით აღჭურვილის და ხელოვანი ლოტბარისა.

მხოლოდ საჭიროა ბ. არაყიშვილმა თავისი რეპერტუარი გააფართოვოს, თავის ნაწარმოებიდამ გადავიდეს სხვა ავტორებზე, როგორც ქართულის, ისე უცხოსი და ყოველ მხრივ ემსახუროს ქართველ საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და მუსიკალურ წრთვნას.

**გ. საყვარელძე**

11 აგვისტო 1914 წ.
ქ. პეტროგრადი.

*) არავის ეგონოს, ვითომ ამ შედარებით ბ. არაყიშვილს, მალერს და ნიკიშს მე ერთ საფეხურზე ვაყენებდე, რადგანაც ორი უკანასკნელი მუსიკის სფეროში ძალიან დიდს წონას წარმოადგენენ, ბ. არაყიშვილი კი ჯერ ახლად გამოდის სამუსიკო ასპარეზზე. მაგრამ... მალერი და ნიკიშიც ხომ ახალგაზდანი იყვნენ...

**გ. ს.**

# ცხოვრება

(დასასრული. იხ. „თ. და ც". № 25-29)

**გიორგი, კონა.**

**კონა** გიორგი?!

**გიორ.** (რა განუქრება თვალთაგან ლანდი) კონა?!.. შენ ახლა არა რა შეგიმჩნევია?..

**კონა** მე...

**გიორ.** (შუბლზე ხელს გადისვამს, ჩამოჯდება) მაგრამ...

**კონა.** გიორგი, რა დაგემართა?..

**გიორ.** მე... ისე ბევრი ვიარე, დავიღალე... შენ სად იყავი?

**კონა.** აი, იქ მაღლა...

**გიორ.** სალოცავადა?... დაჯექი, ქალო, რა მიგაჩქარებს.

**კონა.** დრო. გიორგი! აგერ მზე გადიწურა, ცაც იღრუბლება, დროა, ჩაუსწროთ ავდრობას.

**გიორ.** სჯობს იგი დარი ადამიანის ბოროტებასა.

**კონა.** მართალია, გიორგი! ორივე კეთილსა სდევნის ცხოვრებაში.

**გიორ.** მაგრამ, უმაგისოთ ბოროტისაგან კეთილს ვერ გავარჩევდით.

**კონა**. დიახ! კეთილმა მიუტევოს! მან ბოროტისათვის ილოცოს...

**გიორ.** რიგორც ჩემს ძმა ვანოსა...

**კონა** (უსიამოვნობა შეეტყობა) ყოველისათვის დროა, გიორგი, წასვლისა... (მიდის) მე მივალ...

**გიორ.** შენ შეკრთი... (წინ დაუდგება) მოიცა, კონა!..

**კონა.** ღვთის გულისათვის... გაფიცებთ...

**გიორ.** რას... რატომ მერიდები?..

**კონა.** მე... მე შენგან დავალებული ვარ... შენ გამკურნე, სიკვდილს გადამარჩინე... ცხოვრების თვალნი შენ ამიხილე... ამისათვის გალმერთებ...

**გიორ.** (ხელს მოჰკიდებს) და ჩემს...

**კონა.** გაფიცებ, გიორგი, მშობელსა!.. (უნდობლად) ნუ შემიცვლით მე თქვენზე იმ წმინდა...

**გიორ.** (რა მიუხვდება, გაუშვებს ხელსა) კონა?!... შენ მე... მაგრამ მესმის შენი უნდობლობა... ვფიცავ დამმ..

**კონა.** არა, გიორგი, თუ ღმერთი გწამთ!.. მე...

**გიორ** (კარგა ხანს დააცქერდება მის სახეს, თითქო სურს ამოიკითხოს მისი გულის პასუხი) კარგი. . თუ მენდობი, აქ დაჯექ ჩემს გვერდით...

**კონა.** გთხოვ, გიორგი! (შეხედავს ზეცას) დროა წავიდეთ...

**გიორ.** შენ, კონა, ჩემს დაძმურ ფიცს...

**კონა.** არა, არა, გიორგი!..

**გიორ.** მაშ, ვფიცავ თვით გამჩენს, რომელმაც ჩვენ გაგვაჩინა განურჩევლად, ვფიცავ ჩემს მშობელ მამას, ჩემგან განუშორებელს სულსა მამიჩემისას. ამის მოწმედ იყვნენ: აი, ეს მთები ჩვენი მშობელნი; ეს მდინარენი, ჩვენი მსაზრდოებელნი. თუ რაიმე ჩემგან შენ გევნოს, დაე წაიღოს წყევლაკრულვა, ამცნოს ყოველს შობილს და მით ცხოვრება მე დამეკვეთოს.

**კონა.** მე მრწამს, გიორგი!.. მაგრამ...

**გიორ.** მაგრამ?!. რას მაგრდები?.. არ გინდა გვერდით მომიჯდე მეგობარსა...

**კონა.** ვით მეგობარსა?... სად შემეძლება, მე... (ამ დროს დრუბელი მოფენილია, ხოლო კოშკს ადგია სინათლე, ვით ნათელი გაიელვებს და დაიქუხებს) გიორგი, დროა წასვლისა...

**გიორ.** ბუნების შვილსა რა გეშინიან ამ ქუხილისა?

**კონა.** დიახ, მას შემდეგ რაც მომარჩინე, მეშინიან...

**გიორ.** მესმის... წამალი სხეულს ანაზებს, ვით სიყვარული გულსა ალმობიერებს.

**კონა.** შეხე, გიორგი, მაღლა კოშკსა? რა რიგ სინათლე მოჰფენია, ვით განგებისგან დაშუქებია... წმინდა ნინოსა მანდ ულოცნია...

**გიორ.** შენც მანდ გაზდიხარ სალოცავადა?

**კონა.** სანუგეშოთა...

**გიორ.** სანუგეშოთა?..

**კონა.** გამიგონია მოლოზან მამიდასაგან, რომ მოლოზნად მიდიოდნენ..

**გიორ.** შეყვარებული... არა მარტო მოლოზნები, არამედ ბერებითაცა...

**კონა.** დიახ .. და დღე და ღამ მისთვის ლოცულობენ...

**გიორ** მერე, და არა სჯობიან, მას გაუმჟღავნოს?.. შეუღლდეს, იზრუნოს, როგორც მისთვის, ისე ოჯახისთვის?

**კონა.** (ძირს დაიხედება, თავდახრილი) ეგ იმაზეა დამოკიდებული..

**გიორ.** ვინც უნდა იყვეს.

**კონა.** არა, გიორგი!.. მარტო ქალის სიყვარული არ კმარა მის მისაწვდენად.. (უცბად იღებს, დაიჭექებს, მეხის ჩამოვარდნის მგზავსად, რაზედაც შეჭკივლებს და გული წაუვა)—აჰ!..

**გიორ.** (შერჩება მკლავზე მისვენებული) გული წაუვიდა .. (კარგა ხანს გაშტერებული დაჭყურებს) რაღას დავსცქერი... მე ექიმი. . (დააწვენს) მაჯა ძლივს უცემს... (ხელებს უსრესს) წყალი... გული გაუხსნა. . არა ბიბილოები... (უსრესავს ბიბილოებს ხელითა) გონს ვერ მოდის... (უსინჯავს მაჯას) ძუძუს თავზე ხელის მოჭერა გამოარკვევს, გულს მოუბრუნებს... (გაუხსნის გულს; ამ დროს განათდება და ვით განგებ შუქი ზე კონას დაეფინება. ხეთი გდადედილი კონას გულზე შერჩენილი დაამტერდება; ლანდი თავს წამოადგება) ღმერთო ჩემო! რა მემართება... (ლანდი უთითებს კონაზედა) მამაჩემო?!. არ მესმის, ჩემო მშობელო! ნუ თუ გგონია ჩემი სხეული სძლევს გონებასა?.. (ლანდი გაქრება. დააცქერდება კონასა, რომელიც ტკივილზე შეიშმუშნება) არა, მე, ვით ექიმი...

**კონა.** (შეირხევა, გაახელს თვალებს წამოიწევა, მიმზიდველის ღიმილით წაიფუჩუნებს) გიორგი... მე... სიცოცხლევ ..

**გიორ.** მე ცხოვრება... (დახრის თავს, ხელს მოხვევს, ვით სიცოცხლის მომნიჭებელი; ხოლო გიორგი ინსტინქტიურად მას დაეკონება, ვით ცხოვრების წყაროს დაწაფებული. ღრუბელი გადაიყრება, სინათლე მიმოიფინება)

V

იგინივე, **დათია.**

**დათ.** (შემოვა თუ არა, მიიხედ—მოიხედება, ვით მაძიებელი, და რა შეამჩნევს) ღმერთო, გამჩენო! რატომ თვალები არ დამიდგების... სიტყვის გამტეხი, თუ ვაჟია გამისწორდების... (კომბალს გადააგდებს) დათია მოკვდეს, თუ მანდილის წაბილწვას შენ შეგარჩენდეს...

**გიორ.** (წამოდგება და განზე გადგება) გიორგი არ შეუშინდება და თანასწორედ გაგიმკლავდება...

**კონა.** (მას თან აჰყვება და დათიასკენ გაექანება) დათია შესდექ! გიორგი აქ რა შუაშია .. კონა, ვით სიზმარში, ლოპეს გადაფრინდა და შიგ სიცოცხლის წყაროს...

**გითრ.** ცხოვრებისათვის მას დაეწაფა... მაშ, მოდი, კონა! რას გაურბიხარ? შესვი ეს წყარო დაგუბებული, რომ შენის შეხებით ცხოვრებისათვის აამოძრავო...

**კონა.** მე...

**დათ.** კონაი, მათი ნიადაგი დაგვალულია, გაუმაძღარია. ჯერ დასრულტავენ და გამოფიტულსა...

**გიორ.** დათია!..

**დათ** დათია მზათ არის თავის ორპირა ხანჯლითა... ელის მტერს იარაღიანსა..

**გიორ.** მე იარაღი არა მჭირია.

**დათ.** მაშ, მეც ხანჯალი რათ მინდა, უიარაღოსთან უკადრისია.

**კონა.** დათია!... (ჩაუდგება შუა) ბიჭი არა ხარ, თუ შენ მანდილზე გადაგივლია...

**დათ.** მეწყერსაც ქალაით ის წაუღია, თუ წაბილწული მას ახურია. .

VI

იგინივე, **მაია.**

**მაია.** გიორგი! სადა ხარ, შვილო! ე გული რაზე გადამილიე...

**გიორ.** მწუხარება შვავს სიცოცხლესა, დიდედა-ჩემო!.. აი, გახარო, ჩემი მეუღლე აქ ცხოვრებისა.. ხომ ნებას დამრთავ კონას შერთვასა?..

**მაია,** (გახარებული) შვილო, შენ გენაცვალოს დიდედო...

**დათ.** გიორგი! თუ ღმერთი გწამს, ნუ ეხუმრები ჩვენსა...

**გიორ.** (მოიზიდავს კონას) დიდედა-ჩემო! გთხოვ, დამლოცო... დათიაც მეჯვარობაზე უარს არ მეტყვის..

**მაია.** ღმერთმა დაგლოცოს და გაგამრავ-

ლოს ცხოვრებისათვის.

**დათ.** თუ არა ხუმრობ...

### VII

იგინივე, **სესია.**

**სესია** (რა დაინახავს გიორგის) ექიმო, შენი კვნესა მე, შენ დაგეძებდი.

**გიორ.** რა იყო, რა ამბავია?..

**სესია.** სამგზავრო ეტლი გზიდან გადავარდა... მგზავრები, შენი შენი კვნესა მე, დაშავდნენ...

**გიორ.** მაშ, ჯერ მათ შველა... წავიდეთ, სესე...

**კონა.** მეც თან წამიყვანე საშველათა.

**გიორ.** მაშ, დღეის შემდეგ შენ გიშველიებ... აბა, დიდედო, კონასა ჩანთა გამოატანე, თანვე დათია გამოაყოლე.

**მაია.** (დაღადით) ღმერთო! მომადლე ცხოვრება... მათი უღელი დააკავშირე ცხოვრების სანაყოფოდ.

ს უ რ ა თ ი: მაია მუხლ-მოყრილი შეღაღადებს სანინოს ტაძრისაკენა მაღლა ამართული; გიორგი და კონა ღიმილით შესცქერიან ერთმანეთს; მათ უკანა სდგას გაბრწყინებული ლანდი დალოცვის გამომეტყველებითა; დათია და სესია ერთმანეთს გაკვირვებულნი უცქერიან. ისმის სალამურის ხმა და ნაკადულის ჩანჩქარი.

**ფარდა**



# ახალი ნაბიჯი

**„მსხვერპლი“** დრამა 3 მ. ი. ი. გედევანიშვილისა. ქართულ დრამ. დასის 1 წარმოდგენა, 21 ენკენ. ალ. წუწუნავას რეჟისორობით

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის სიცოცხლის მომცემი,“ სთქვა დიდებულმა ილიამ, და ეს ფორმულა დღეს ჩვენშიც ხორციელდება. შეტორტმანდა ჩვენი ცხოვრება, დასამარდა ტრადიცია და სასიცოცხლოდ გამზადებულმა ჩუმმა ძალამ მოძრაობა შექმნა. პირველი ტალღა უკვე აგორებულია და ახალი ცხოვრების სხივიც გამობრწყინებული. „იღვიძებს ერის მძლავრი გენიაო,“ შეგვიძლიან გავიმეოროთ. ჩვენი ცხოვრება ხმას იღებს; და აქ, ერთი ხმის მომცემი, თეატრიცაა. იგი ღვიძლი შვილია ჩვენი სინამდვილისა და ყოველგვარ ცვალებადობას აღბეჭდავს თავის მთრთოლვარე პირზე. იყო ცხოვრება მდორე,— არ იყო თეატრიც. მე-60-ე წლებში წამოვიდა სიცოცხლის სიო და თეატრიც ჩაისახა. დღეს კვლავ გაისმა ახალი ხმა, მძლე, სასტიკი, და თეატრმაც ძველი სცენის გადახალისება მოისურვა.

კარგად მახსოვს თითქმის ყოველი სიტყვა ენერგიით აღსავსე მსახიობებისა, წარმოთქმული სცენის მოყვარეთა ყრილობაზე. არ დამავიწყდება ის ენერგიული ძახილი „დღესვე“, რომლითაც მოითხოვდნენ ყოველი საკითხის განხილვას და ეწინააღმდეგებოდნენ „მოხვალიე“ მოლოდინს. დასაწყისი მედგარი იყო, ახალი ნაბიჯის გადადგმა მტკიცე შესაძლებელი იყო, ამ ახალ ნაბიჯს მსხვრევლი მოუთხოვა, მაგრამ ამას არ შეუშინდნენ, და ნიშნად ამისა, პირველი ნაბიჯიც „მსხვერპლით“ დაიწყეს. ეს ორმაგი სიმბოლო იყო: ერთი—მეტყველი ახალ ცხოვრებაზე, სოციალურ გარდაქმნა-განახლებაზე, მეორე—მეტყველი ჩვენი თეატრის გარდაქმნა—აღორძინებაზე. დიაღ, ეს პირველი, ახალი ნაბიჯი, ღირსეულად იქმნა გადადგმული ...

აი, აიხადა ფარდა... თდნავ გამტყდარი დამე, რომელიც ალიონის სხივს დაუცხრილავს და ასუსტებს... ღამის შავ მანტიაში შესუდრულ სოფელს კვლავ ეფინება მზის სხივები და ვარდის ფერიც, ნელ-ნელა სცვლის შავ—ლურჯ ფერს ცისას... გაისმის განუწყვეტელი რაკუნი ურმისი, ეს ალიონთან ერთად სიმბოლო ახალი ცხოვრების, რომელიც ჯერ იჭედება... და ასე ნელ-ნელა თენდება... აგერ გაირბვა ჭვერი და სევდიანი „ურმული“ მოყვლო სოფელს. გაიღვიძა ყველამ და ხალხის ძახილი, საქონლის ბღავილი, ძაღლების ყეფა ერთად აირია. მზემაც მოასწრო ამოცურება, მაგრამ სავალალოდ. პიესაში 1905-6 წლების ცხოვრებაა ნაქანდაკევი. აგიტატორების ძებნა—ჩხრეკა გამხდარა დღიურ საქმედ.. ცხოვრება ამღვრეულია; „სტრაჟნიკია“ მოუკლავთ —მკვლელს ეძებენ... სოფელს სთხოვენ გაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში აწიოკე-

ბით ემუქრებიან. ჩვენ თვალ-წინ იშლება ცოცხალი სურათი იმ დროის სოფლისა.. აგერ მამასახლისი, შეშინებული თვალებით და გაფითრებულ სახით, კუდა ფინია'ავით ელოლიავება ბოქაულს, და მიჭქრის სოფლის შესაყრელად.. აგერ მოიგლიჯა სოფელიც და სამმართველოს წინ შეჯგუფდა... თათბირია... შეხედეთ რა საუცხოვო სურათია, ცოცხალი სახე, ბრბოს ფსიხოლოგიისა. იქ რა უნდა კრიტიკულ აზრს, იქ ყველაფერზე „ჰო, მართალია" გაისმის, ოღონდ სიტყვა კარგად იყვეს თქმული. აგერ ბოქაულიც, მათრახ-მომარჯვებული ჩაფრებით. ხალხს უყვირის, მათრახს უმზადებს.. მკვლელს მოითხოვს არ იციან მაგრამ „არას" თქმა არ შეიძლება—ან სოფლის აწიოკება, ან და მსხვერპლის საჭირო და აგერ.. გაირდვა ხალხი, და ჩნდება მსხვერპლი... გლეხმა ვანომ თავს იდვა სოფლის ხსნა, და დაიხსნა კიდეც. ხოლო ბოქაული კი, უმანკო სისხლით იბანს ხელს. სოფელს არ სჯერა ვანოს მკვლელობა, იგი განგაშებს და ამ განგაშს, ვანოს დედის გულ-გამგმირი სიტყვები არშასავით-და ედება. (I—ლი მოქმ.)

თავად ნიკოს ნადიმი აქვს... ბოქაულსაც მოულხენია, და კეკლუც სატრფოს ეალერსება... „ვაი შენ ჩემო თეთრო ბატო" ექსოვება ღვინის ჭიქებს, და „თავალურ რეჩებს" საზღვარი არ ედება... ლხინობენ... რა უყოთ რომ დილას ცხარე ცრემლი ადგრევინეს მთელ სოფელს? სამაგიეროდ „მკვლელი" ხომ იპოვეს! ეს ნადიმი კი გაარჯვების ნიშანია... მაგრამ აგერ, თმაგაწეწილი, დედა ვანოსი აქაც მოიჭრება, და გმობის სიტყვით არღვევს ნადიმის სიხალისეს. ჩნდება ნატოც, მკვლელის ცოლი, ლამობს მართალი სიტყვის თქმას, მაგრამ... ქმარი მკვლელი კი მაინც იმალება, ურცხვად იმალება. (მე-II რე მოქმედ.)

.. სოფიქსი ახსნილია.. ვანოს უმანკოება დადასტურებული. მკვლელი იპოვეს... მხილება მოხდა, და ხალხი გაბოროტებული შურს იძიებს... შიშვლდება „იმათი" სიმართლე, ხოლო სახრჩობელაზე ა'ულ, სოფლისთვის თავ-დადებულ ვანოს სახელი კი ნათელ სვეტად რჩება სოფლის გულში... (მოქმედ. მე-III-მე )

ცოცხალი პიესაა და ცოცხლადვე იქმნა განსახიერებული. არ შევეხები ჯერ-ჯერობით პიესის ღირსება-ნაკლს ვიტყვი მხოლოდ, თუ როგორ განსახიერდა იგი ჩვენს სცენაზე კვირას, 21 სექტემბერს. აქ, ა. წუწუნავამ კიდევ ზედ-მეტად დაამტკიცა თავისი მხატვრული ცეცხლი და მოითხოვა, რომ საზოგადოება დღეის შემდეგ პატივისცემით მოეპყრას ჩვენს სცენას. მე ვეღარ ვიცანი ჩვენი სცენა. სადღა იყო ის მსახიობთა დაუდევრობა, რომელიც ბეგლარას (სუფლიორს) სულს აცლიდა; სადღა იყვნენ ის სასაცილო მანეკენები, აქამდის მასსიურ სცენებს რომ ჰქმნიდნენ. კვირას, უკვალოდ ეს განდევნილი იყო, და ქართულ სცენიდან მოსხანდა ის, რასაც ანსამბლის სრულ-ყოფა ეწოდება. მე იქ, თითქმის ვეღარ გხედავდი **ვასო აბაშიძეს** და ქ-ნ. ჩერქეზიშვილს, ვედარც ზარდალიშვილი ჰხიბლავდა საზოგადოებას. თუმც სამივენი საუცხოვოდ ასრულებდნენ თავიანთ როლს ვასო აბაშიძე იგივე იყო, რაც წინად,— მხოლოდ დღეს შაქრო—საქოს ბიჭი (დ. თვალჭრელიძე) თითქმის „ხაზეინს" ეჯიბრებოდა. საუცხოვო საქოს გვერდით, საუცხოვო შაქრო დაგვიხატა ახალგაზდა მსახიობმა. იგი ტიპიური დუქნის ბიჭი იყო. და როდესაც იმედაშვილი (ვანო), გამყრელიძე (გაბუა), ზარდალიშვილი (ბოქაული) და სხ. ჰქმნიდნენ მხატვრულ სახეებს, მათ ეჯიბრებოდნენ არაბიძე (მწერალი), ფრონის-პირელი (მამასახლისი) და სხ., ახალგაზდა მახიობები. მე ვეღარ მითქვამს, თუ რომელი რომელს სჯობდა. და არამც თუ მსახიობები, თვით გლეხები მასსიურ სცენებში საუცხოვონი იყვნენ. გაფაციცებით ვადევნებდი თვალ ყურს და ყოველი მათგანი მხატვრული ტიპი იყო. აგერ ბერიკაცი (სოსა რომანიშვილი) ყოველ სიტყვაზე რომ „ჰო, მართალია" და „არა არ შეიძლებას" გაიძახის ან და აგერ მჭედელი (გ. იორდანიშვილი,) თ-დ ნიკოსთან წასასვლელად რომ ემზადება და „ირთვება". ყოველმა მათგანმა საუცხოვოდ დაგვიხატა ბრბო, მისი აზრი, მისი მსჯელობა, ისე რომ სრულ სინამდვილეს გვიდგენდნენ, მწყობრად შეერთებულნი. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი მოქმედების მხატვრული მხარე. აქვე საჭიროდ ვსთვლი მოვიხსენიოთ, რომ ახალი დეკორაციები იყო (მთელი ცა), რაიც სრულს ილუზიას ჰქმნიდა

მაგრამ ამ საუცხოვო წარმოდგენას მაინც აკლდა თავისი ნაკლი. ამ ნაკლის ჩვენებაც აუცილებელია, რომ შემდეგისთვის ესეც თავიდან იქნეს აცილებული. ჯერ უპირველესად ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ საათზე მეტი მოუხდა საზოგადოებას ლოდინი, რამაც დიდი ჩრდილი მიაყენა მსახიობთა ენერგიულ მუშაობას. ეს ძველი სულთამხუთავია ჩვენი სცენის და დროა იგიც მოისპოს მესამე ზართან ერთად ფარდაც უნდა იხდებოდეს. ახლა თვით შესრულებას დავაკვირდეთ. პირველ მოქმედებაში თენდება. მაგრამ ერთხელაც არ ისმის მამლის ყივილი. ეს კი ძლიერ აქარწყლებს შთაბეჭდილებას. მეორე მოქმედებაში თ—დ ნიკოს სასახლეც ვერ იყო ნამდვილი, ტიპიური. ეზო ისე-

თი პატარა იყო, რომ, როგორც ქართველები იტყვიან, თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. სახლიც ორ-ორი ოთახი მაინც უნდა ყოფილიყო თითო სართულში, თორემ, მგონია, მთელ ქართლ-კახეთში არც ერთი თავადიშვილი არ სცხოვრობდეს ერთ ოთახში. ამასთანავე კედელს იქით სოფელი ისევე მოსჩანდა, როგორც საქოს დუქნის იქით. აქ კი ცოტა ცვლილება უნდა მომხდარიყო. უკანა დეკორაცია ცოტათი ერთ, ან მეორე მხარეს უნდა ყოფილიყო უკან გაწეული, რადგან საქოს დუქანი და თ-დ ნიკოს სახლი ერთ ადგილს ვერ იდგმებოდენ. სხვა და სხვა ადგილებიდან კი, სურათი ერთნაირად ვერ გამოჩნდება. ბოქაული (ი. ზარდალიშვილი) რომ გამოვიდა სცენაზე, ქანდარიდან ერთმა ჯგუფმა დაიძახა „ვაშა ზარდალიშვილი-ო“, მიაყოლა ტაში და... ამაზე ბ-ნმა ზარდალიშვილმაც თავის დაკვრით უპასუხა, ისე, როგორც ოპერეტებშია ხოლმე! ბ-ს ზარდალიშვილს ალბათ დაავიწყდა, რომ იმ დროს იგი მხოლოდ ბოქაული იყო, ცხოვრებიდან ამოგლეჯილი ხატება და არა. ზარდალიშვილი!

ასეთი იყო ქართული სცენა კვირას, 21 ენკენისთვეს. ჩვენმა რეჟისორ-მსახიობებმა ნათლად დაგვიმტკიცეს, რომ ჩვენი თეატრი უკვე გამოფხიზლებულია, რომ ჩვენც შეგვძლებია თეატრის მხატვრულ ემოციათა წყაროდ გადაქცევა, რომ „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის სიცოცხლის მომცემი“, ხოლო რას იტყვიან შემდეგ... დაუცადოთ

**ვახტანგ კოტეტიშვილი**

# ქართული სეზონი ქუთაისში

18 ენკენისთვეს 1914 წ,
„ლალატი“ დრ. სუმბათაშვილს.

ქუთაისში ქართული სეზონი 18 ენკენისთვეს „ლალატით“ დაიწყო. ყველას დიდი იმედი გვქონდა, რადგანაც დასი საუცხოვო ძალებისაგან იყო შემდგარი, ეს წარმოდგენა არ დაემსგავსებოდა სხვებს, რომელიც გვინახავს ერთის მხრით გამართლდა მოლოდინი, მაგრამ მეორეს მხრით კი ძლიერ გულნაკლული დავრჩით საერთოდ ჩვენს სცენას დღემდე დასჩემდა ერთი არა სასურველი სენი: ძლიერ პატარა ყურადღებას აქცევენ პიესის წვრილმანებს, რომლისაგან საერთო შთაბეჭდილება სდგება ხოლმე. მაგალითად მასიური სცენები სულ ყოველთვის კოჭლობს ქართულ სცენაზე, კოსტიუმებს არ აქცევენ ყურადღებას და ამის მიზეზი იყო სწორედ, რომ გაიანეს როლის ამსრულებელი ქ. ტასო აბაშიძე „გორინიჩნაიას“ უფრო წააგავდა, ვინემ ოთარბეგის ასულს. დათოს როლის ამსრულებელს ისე ეცვა, რომ მორგვს უფრო მოგვაგონებდათ, ვინემ სხარტე, სიცოცხლით სავსე მეომარს. სტატისტები ხომ ყოველთვის რაღაც გამოურკვეველ ჯურის წარმომადგენლები არიან ჩვენს სცენაზე. მეტეხის აფეთქება გამოურკვეველი მანქანებით მოხდა უნდა აფეთქდეს თოფ-წამლის საწყობი, ამას ალი უნდა მოჰყვეს, მაგრამ ასე არ მომხდარა: ალბად უკვამლო წამალი თუ იხმარეს, მაგრამ იმ დროს ასეთი წამალი არ ყოფილა.

ცალკე ამსრულებლებზე ბევრი არაფერი ითქმის. ოთარბეგი (გუნია) ყოველთვის კარგად ასრულებდა თავის როლს და ახლაც, განსაკუთრებით მეორე მოქმედებიდან, საუცხოვოდ ხატავდა ოთარბეგის სულისკვეთებას; ზეინაბი (დავითაშვილის ასული) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა თავისი საზრიანი თამაშობით. ამას ხელს უწყობდა დიდის გემოვნებით შეკერილი კოსტიუმი, რომელიც ხშირი არაა ჩვენს სცენაზე ჩვეულებრივი ანანია იყო ბ. იმხნელი. ბესოს (გელოვანი) ნასახი არსად სჩანდა. რუქაია (მდივნის ასული მკაფიოდ იყო გამოსახული და საუკეთესო რუქაია იქნებოდა იგი, რომ უფრო თავისუფლად ეგრძნო თავი სცენაზე. სულეიმან ხანის როლს ბ. შალიკაშვილი თამაშობდა და სჯობდა კი არც ეთამაშა. ასეთი როლები არ არის ბ. შალიკაშვილის ამპლუა. ის მრისხანება, ქედუდრეკლობა, გულზვიადობა რომელიც ახასიათებს სულეიმანს, გაქრა შალიკაშვილის ხელში და ლომგული სარდალი ჩვრად ქცეული დაგვანახა. ისახარი ვერ იყო თავის ალაგას დათოსა და ერეკლეს არა უშავდა რა, რომ დათო უკეთ ყოფილიყო ჩაცმული, როგორც ვთქვი, ერეკლემ (მგალობლიშვილი)მ ოლოდინს გადააჭარბა თუმცა მგალობლიშვილი ყოველთვის ერთი და იგივეა სცენაზე, მაგრამ ერეკლეს როლში 18 ენკ. ეტყობა ძლიერ ცდილა და ეს უხერხული როლი ჩინებულად ჩაატარა.

ზევით დასახელებულ ნაკლის მიუხედავად, საერთო შთაბეჭდილება დიდი იყო ხალხი, მოლოდინის წინააღმდეგ, ცოტა დაესწრო, არ ვიცი ცუდ ამინდს მივაწერო თუ უგულობას.

**L' ami.**

# წვრილი ამბები

## სამშობლოში

**დაიწვა** ქართული თეატრი. ზარალი ნახევარ მილიონამდეა. დაწვრილებით შემდეგ.

**ქუთაისის თეატრში** წარმოდგენილ იქმნა „დონ-კარლოსი“, „მამა“. ხალხი ბევრი დაესწრო. რეცენზიას მომავალ კვირას მოვათავსებთ.

**ბაქოს დასმა** შ. დადიანის რეჟისორობით სეზონი კვირას, 21 ენკენ., „სამშობლო‘‘-თი დაიწყო. დიდძალი ხალხი ღმესწრო. რეცენზიას მომავალ კვირას დავბეჭდავთ.

**შ. შარაშიძის** პიესა ,,ავგაროზი‘‘ წარმოდგენის ნება დართო მეფის მოადგილის სამმართველომ.

**ნოქართა კლუბში** გასულ ორშაბათს წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას ,,სიძე-სიმამრი‘‘

**ნაძალადევში** გასულ შაბათს წარმოადგინეს ,,ორი გმირი‘‘, ვ. გუნიასი.

**ქუთაისის დასის სურათები** ამ ნომერში ველარ იბეჭდება, რადგან მომზადებული კლიშეები ცეცხლმა შთანთქა.

**ავლაბრის სახალხო წარმოდგენების** მმართველ წრის საზოგადო კრება შესდგა გასულ კვირას, 21 ენკენ. კრებამ მოიწონა გამგეობის განვლილი ნამოქმედარი და შემოსავალ-გასავლის შესამოწმებლად ამოარჩია საგანგებო კომისია. ამვე კრებამ აირჩია გამგეობა: აბაშიძე მიხ., ბასილაშვილი (ერთხმად გოჩიტაშვილი გ., კორძაია ალ., ნასიძე თ. (ერთხმად), სცენისმოყვარეთაგან—ბეს. მაისურაძე და ა. თავდგირიძე.

**შ. არაგვისპირელს**, ჩვენს სახელგანთქმულ და ნიჭიერ მწერალს, წელს, ენკენისთვეში 25 წელი შეუსრულდა სამწერლო მოღვაწეობისა.

**მგოსანი სანდრო შანშიაშვილი** გასულ კვირას კახეთს (ქიზიყს) გაემგზავრა, სადაც აპირებს ხელი მოჰკიდოს დიდ ლიტერატურულ შრომას. ამ ჟამად ფილოსოფიურ წერილებს ათავსებს „ხმა კახეთისა“-ში.

**ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნად** გამოვა სანდრო შანშიაშვილის დაუბეჭდავ ლექსთა კრებული.

**დავ. კილოსანიძე სწერს** დიდ ისტორიულ მოთხრობას ეგვიპტელთა ცხოვრებიდან, სახელად „დიდის ქურუმის მწერალი“.

**სახალხო სახლში** შაბათს, 20 ენკენ. კ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმთდგენილ იქმნა „მეფე“.

**„მსხვერპლის“ წარმოდგენას** ქართულ თეატრში 21 ენკენ. დიდძალი ხალხი და მოწაფეობა დაესწრო. უადგილობისა გამო ბევრი უკან დაბრუნდა. დამსწრეთა შორის, პარტერშიაც-კი, შევნიშნეთ გლეხობა და წვრილი ვაჭარნი. პიესას მოკლე ხანში გაიმეორებენ.

**ექ.ნ. მელიქიშვილმა** თავის საავადმყოფოში სამი საწოლი დაუთმო ომიანობისაგან დაზარალებულთა კომიტეტს დაჭრილთათვის, და ხუთმეტის დათმობაც აღუთქვა.

**შიო დავიდოვმა** დასწერა ახალი ორიგინალური დრამა „ფრნაოზ არმაზელი“, წარსული მოძრაობიდან. პიესა წარმოსადგენად უკვე ნება დართულია.

## რუსთა შორის

**მწერალმა ლეონიდ ანდრეევმა** დასწერა ახალი პიესა „მეფე, კანონი და თავისუფლება“, პიესაში აღწერილია ბელგიელთა ბრძოლის სურათი, მომქმედ პირებად გამოყვანილია სახელგანთქმული მწერალი, ბრძოლის ველზე გასული, მინისტრი ომიანობის გამო ხალხიდან გაყვანილი, ახალგაზდა აფიცერი, რომლის წინ პატივისცემით მუხლს იდრეკენ მინისტრი და მოხუცი გენერალი. პიესაში გამოყვანილია აგრეთვე გერმანელთა შტაბის წარმომაგგენელი, ლაშქრის მთავარსარდალი—რკინაკაცი; მოქმედება სწარმოებს ომის გაჩაღების დროს. გაზეთების ცნობით, პიესა უკვე წაუკითხნიათ მწიგნობარ-ხელოვანთა წრეში, და ძლიერაც მოსწონებიათ, როგორც აღმაფრთოვანებელი, კეთილ-შობლიური სულისკვეთებით სრული. პიესა წარმოსადგენად ჯერ ნება-დართული არ არის, მაგრამ ჩქარა კი დაიბეჭდება.

**ომიანობამ შემოქმედობა გამოიწვია**, —ახალ ნაწარმოებთ სწერენ: ს. ვ. რახმანინოვი—„დიდი ომიანობა“-ს, ც. ა. კიუი—სადღესასწაულო შესხმას „ჩვენთან არს ღმერთი!“, ა. ნ. სკარიამონი—სიმფონიას „სლავიანთა აღდგომა“-ს, მ. მ. იპოლიტ-ივანოვი—„სამხედრო რაპსოდიას“.

**სამხატვრო თეატრმა** მოსკოვს ვარიგინის სახლში საუცხოვო საავადმყოფო მოაწყო ომში დაჭრილთათვის.

**მწერალ-მხატვარ და მსახიობთა წრემ**, აკადემიკოს ი. ა. ბუნინის მესვეურობით, განიზრახა რუსეთისა და ევროპის საზოგადოებრივ აზრს მოუწოდოს, გერმანელთა საქციელის (ხელოვნების საუკეთესო ძეგლთა მოსპობის) გამო წინაალმდეგობის გამოსაცხადებლად.

**რუსი მსახიობნი** საიმპ. თეატრთა გამგეობას, სთხოვენ სცენაზე ნემეცური გვარები რუსულით შესცვალეთო. როგორც ისმის, მსახიობთა მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქმნება.

**ანტრეპრენიორთა კავშირი** სდგება იმ განზრახვით, რომ მსახიობთ მოსთხოვოს—ჯამაგირები დაიკლონ და ცუდი შემოსავლების დროს ანტრეპრიზას შეეძლოს ამხანაგობად გადიქცეს.

**საზღვარგარეთიდან** თანდათან ბრუნდებიან ომიანობის გამო იქ „ტყვედ“ დარჩენილნი მსახიობნი, მწერალნი და სხ.

**გარდაიცვალა შესანიშნავი დედა**, ა. ნ. ნემაროვიჩ-დანჩენკოსი, რომელმაც რუსეთის სცენასა და მწერლობას რამდენიმე საუკეთესო შვილი გაუზარდა.

## უცხოთა შორის

**რეიმსის ღვთისმშობლის ტაძრის დანგრევამ** გერმანელთა მიერ, დიდი აღშფოთება გამოიწვია ხელოვნებისა და მწერლობის მოღვაწე-მსახურთა შორის.

**რიჰარდ შტრაუსი**, გერმანელთა სახელგანთქმული კომპოზიტორი, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, თანამემამულეთ მოღალატედ გამოუცხადებიათ და სამეფო საოპერო თეატრიდან გაუდევნიათ, რადგან შტრაუსმა აშკარად დაჰგმო ნემეცთა ბოიკოტი ევროპიულ მუსიკის წინაალმდეგ.

**სარა ბერნარი და იზადორა დუნკანი** მოწყალების დებად ჩაეწერნენ, პარიზის საავადმყოფოებში მუშაობენ და ომში დაჭრილთ უვლიან.

**მომღერალი ქალი ლინა კავალერი** ბრძოლის ველზე გავიდა მოწყალების დად.

მომავალ კვირის ნომერში დაიბეჭდება გ. ფოცხვერაშვილის **„აშენდა საქართველო“**

Дозволено военной цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11 – 79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 28 სექტემბერს | სინემატოგრაფი, მუსიკა' ცეკვა. |
| ორშაბათს 29 სექტემბერს | სინემატოგრაფი. |
| სამშაბათს 30 სექტემბერს | სინემატოგრაფი, მუსიკა. |
| ოთხშაბათს 1 ოქტომბერს | საზანდარი. |
| ხუთშაბათს 2 ოქტომბერს | საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა. |
| პარასკევს 3 ოქტომბერს | საზანდარი; ცეკვა. |
| შაბათს 4 ოქტომბერს | სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა. |
| კვირას 5 ოქტომბერს | სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა. |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ.· დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

[illegible]ბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

---

# შექსპირი ქართულად!

## გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელისმოწერა ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნ **შექსპირს** რვა ტრაგედიის გამოცემაზედ: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი, იულიოს კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე.)—გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდე გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები.—ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელისმოწერა განაწილებულია სამს ვადად: **პირველი შემოსატანი** —1 მან., მეორე—**პირველ ნოემბერს**—1 მან. და მესამე—1 მან. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წლის განმავლობაში. ხელისმოწერა მიიღება **თბილისში:** ქართვ. შორის წერაკითხვის საზოგადოების გამავრცელებელ მაღაზიაში, და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგის ქუჩა, 52) „თეატრის და ცხოვრების“ რედაქციაში (ქართ. თეატრში) და ქუთაისში მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში.

გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.**



(წ.—29)

ექ. ვახტანგ ლამბაშიძის
**სანატორიუმი**
პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე
ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე
დაწვრილებით პირობები მსურველთ! გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.
მისამართი: თბილისი ექ. ვ. ლამბაშიძე|
ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)


## ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს
დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ი. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებათა
დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.
კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.
საღამოთი 6—7 ს.
მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ. ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.
დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.
მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.


იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. ი. გედევანიშვილისა, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(10—9)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. 60 კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—9)

22 აგვისტ. გამოდის ყოველდღიური საპოლიტ. და სალიტ. გაზეთი

**ახალი აზრი**

**გაზეთი ღირს:** 1 წლით—7 მ., 6 თვით—4 მ. 3 თვით—2 მ. 50 კ., 1 თვით. თბ.—80 თბ. გარეთ—90 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი.
**კანტორის ადრესი:** Тифлисъ, Орбеліановская ул. № 36
**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Теофилу Марковичу Кекелидзе. Тифлисъ, Орбеліановская ул., № 36.
სხვა ადრესით ფულს რედ. ვერ მიიღებს რედაქციის კან. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილ. 12—1 ს., სალ. 5—6 ს.

**შრომა** სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორშაბათობით.
რედაქცია: გიმნაზიის ქ., ჰ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.
**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

„სორაპანი"-ს გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა
**ქართველი მწერლები**
შედგენილი ი. გომელაურის მიერ, ნაწ. I
ფასი 80 კ.


სტამბა „სორაპანი" Типографія „Сорапань"